F567 ✓3432

იდიდე მარად, ჩემო საქართველო!

საბჭოჲლოს ხაჲ

უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოების გამოცემა

გამოცემის მე-12 წელი

№ 3 (187)

თებერვალი.

1968 წელი



სსრ კავშირის სახალხო მხატვარი უჩა ჯაფარიძე.

ბულგარეთიდან — რუსთავში

რუსთავი. რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაში საწარმოო პრაქტიკის გასავლელად ბულგარეთიდან ჩამოვიდა 50 მეტალურგი. სოციალისტური ქვეყნებიდან პრაქტიკანტთა ასეთი დიდი ჯგუფი ჯერ არ ყოფილა. მათ ხელმძღვანელობს ინჟინერი ხრისტო ხრისტოვი, რომელმაც უმაღლესი განათლება მიიღო საბჭოთა კავშირში — დაამთავრა დნეპროპეტროვსკის მეტალურგიული ინსტიტუტი.

ჩვენს კორესპონდენტთან საუბარში ხ. ხრისტოვმა განაცხადა:

— ჩვენი ჯგუფი რუსთავში პრაქტიკის დამთავრების შემდეგ იმუშავებს ქალაქ კრემიკოვცის მეტალურგიულ ქარხანაში. კრემიკოვცი ბულგარეთის ხუთწლედის უმნიშვნელოვანესი ობიექტია. აქ 1970 წლამდე აშენდება და სრულიად ავტომატიზებული გადაეცემა მესამე საკოქსე ბატარეა, მესამე ბრძმედი, კონვერტორული საამქრო, ფეროშენადნობთა საამქრო. ცხელი და ცივი გლინვის დგანები, მილსაგლინავი დგანები. ერთ-ერთი ასეთი დგანი აიგება რუსთავის „140“ დგანის მიხედვით. ქართველ მეგობრებთან ბულგარელი მეტალურგები სწავლობენ მილსაგლინავი წარმოების ტექნოლოგიას.

რუსთავმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩვენზე. არც კი გვჯერა, რომ იგი სულ ოცი წლისაა. რუსთაველებს არაერთხელ გაუწევიათ მეგობრული დახმარება ბულგარელებისათვის. ჩვენამდე აქ პრაქტიკას გადიოდნენ მებრძმედეები და მილმდიდავები. მოხარული ვართ შევიძინოთ რუსთაველ მეტალურგთა მდიდარი გამოცდილება, რომლებიც ძმებივით შეგვხვდნენ.



წელს საქართველოში დიდი ზამთარი მოვიდა, მაგრამ თბილისში, როგორც იტყვიან, ორიოდე ფიფქი ძლივს ჩამოვარდა. აქ თბილი და მზიანი ამინდია. სურათზე: თბილისი, გმირთა მოედნის ერთ-ერთი კუთხე.

ავტომატები მართავენ

დაახლოებით 400 ათასი ჰექტარი გვალვიანი მიწები უკავია ჩვენს რესპუბლიკაში სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურების ნათესებს. მათ სიცოცხლე დაუბრუნა მორწყვამ. ხუთწლედის დამლევისათვის აბიბინდება ჯერ კიდევ 90 ათას ჰექტარზე. წლითიწლობით იზრდება საირიგაციო სისტემების სიმძლავრე და სიგრძე. სპეციალისტებს სულ უფრო ურთულდებათ ამ ვრცელი მეურნეობის მართვა. საჭირო გახდა ჰიდროკვანძების მუშაობის მართვის მექანიზაცია და ავტომატიზაცია.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ელექტრონიკის, ავტომატიკისა და ტელემექანიკის ინსტიტუტში შემუშავებულია სამგორის სარწყავი სისტემის ერთიანი დისპეტჩერული მართვის სქემა და ტელემექანიზაციის პრინციპები. სამუშაო შეასრულა ტელემექანიკის განყოფილების თანამშრომელთა ჯგუფმა ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატის **ნ. კალატოზიშვილის** ხელმძღვანელობით.

მაგისტრალური არხებიდან სისხლძარღვებივით გაჭიმულა მინდვრებში ამ რთული ჰიდროტექნიკური ნაგებობის სარწყავი არხების მრავალი ჯაჭვი. ყოველი მათგანის სათავეში მოთავსებულია განსაკუთრებული ფარები, რომელთა დახმარებით აწესრიგებენ მინდვრებისათვის წყლის მიწოდებას. როცა დამთავრდება ქვემო სამგორის სარწყავი სისტემის მშენებლობა, გაერთიანებული ჰიდროკვანძის მართვა კიდევ უფრო გართულდება.

რესპუბლიკის მეცნიერთა მიერ შემუშავებული საირიგაციო სისტემის მართვის ავტომატიზაციისა და ტელემექანიზაციის სქემა დაეხმარება სპეციალისტებს უფრო რაციონალურად გამოიყენონ წყლის მარაგი გვალვიან რაიონებში. საჭირო აღარ იქნება დიდძალი მომსახურე პერსონალი, სისტემის მთელი ხელმძღვანელობა შეუძლია სამ დისპეტჩერს, ხოლო მუშების შრომას შეცვლიან ავტომატებით.

ექსპერტები სწავლობენ

ტყიბული. ორჯონიკიძის სახელობის შახტის ცვლის უფროსს ე. გოგელაშვილს თანამოსაქმეებმა მიულოცეს სამთო ინჟინრის დიპლომის მიღება. წარმოებას მოუწყვეტლივ მან დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი.

შახტის ყოველი მესამე მუშა სწავლობს უმაღლეს, საშუალო, ან საშუალო ტექნიკურ სასწავლებელში. პოლიტექნიკური ინსტიტუტის დაუსწრებელი სწავლების სტუდენტები არიან ცვლის უფროსები ვ. აბუთიძე, ი. ბაძგარაძე, სამთო ოსტატი მ. ჯანჯღავა, ზეინკალი რ. ბახუტაშვილი და სხვები.

შრომისა და სწავლის ყველაზე წარჩინებულ სტუდენტებს წარმოება დასწრებულ ფაკულტეტზე გზავნის და თვითონ უხდის სტიპენდიას.

მღერის ბავშვთა კაპელა

საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის პლენუმზე, რომელიც თებერვალში გაიმართა, გამოვიდა თბილისის ბავშვთა მხატვრული აღზრდის სახლის გუნდის კაპელა.

საქართველოში პირველი ბავშვთა კაპელის დამაარსებელმა, თავისი საქმის დიდმა ენთუზიასტმა გ. მუნჯიშვილმა ჩვენს კორესპონდენტს უამბო, თუ როგორ იქმნებოდა ეს მხატვრული კოლექტივი. ახლა კაპელაში 8-12 წლის 90 ნორჩი მომღერალია. გუნდი უკვე რამდენჯერმე გამოვიდა ფართო აუდიტორიის წინაშე. მისი კონცერტები ჩაწერილია და ტრანსლირებული იყო რადიოთი. კაპელის პროგრამაშია ძველი ქართული საგუნდო სიმღერები, რუსული და უკრაინული ხალხური სიმღერები, კლასიკური ნაწარმოებები. თავისუფლად და უშუალოდ ასრულებენ ისინი ბახ-გუნოს „ავე-მარიას“, გ. პერსელის „საღამოს სიმღერას“, რ. გლიერის „სიმღერას ზღვაზე“, ე. გრიგის „ზღვის სიმღერას“, ი. ბრამსის „იავნანას“, ქართულ ხალხურ სიმღერას „სისატურას“, ნაწყვეტებს ა. ბუკიას ოპერიდან „დაუპატიჟებელი სტუმრები“ და სხვ.

კაპელას დიდი გეგმები აქვს. კერძოდ, მარტში სასკოლო არდადეგების დროს იგი თავის ხელოვნებას უჩვენებს უკრაინელ ბავშვებს.

სკოლა — იუბილარი

იმ დღეს თბილისის 47-ე საშუალო სკოლაში შეიკრიბა ჩვენი რესპუბლიკის ბევრი ცნობილი ადამიანი. ყოფილი მოსწავლეები და მასწავლებლები მოვიდნენ, რათა მშობლიური სკოლისათვის მიელოცათ 120 წლის იუბილე.

მიუხედავად იმისა, რომ ზოგი სტუმარი უკვე არათუ მშობელი, არამედ ბებია და ბაბუაც კი გამხდარიყო, ისინი ტოლ-მეგობრებივით შეხვდნენ ზეიმის მასპინძლებს. მოსწავლეებმა ყველა სტუმარს მკერდზე დაუბნიეს ბაბთა ციფრებით „1848-1968“.

დიდი ხნის უნახავები ჰყვნიდნენ და ეხვეოდნენ ერთმანეთს, ბევრი იყო მოულოდნელი შეხვედრა, შეკითხვები. და, რასაკვირველია, ასეთ შემთხვევებში აუცილებელი: „გახსოვს?..“

ამ სკოლამ აღზარდა საბჭოთა კავშირის გმირები ვახტანგ ლეჟავა და თენგიზ ჯაფარიძე, ამ სკოლაში სწავლობდა ბევრი თვალსაჩინო მეცნიერი, მსახიობი, მწერალი, საზოგადო მოღვაწე, წარმოების მოწინავე, რომლებიც დღეს ჩვენი ეკონომიკისა და კულტურის აყვავებას ემსახურებიან.

სხვადასხვა დროს აქ ასწავლიდნენ თვალსაჩინო საბჭოთა მათემატიკოსი ანდრია რაზმაძე და ქართული მუსიკის კორიფე ზაქარია ფალიაშვილი...

პირველი შეხვედრები გაიმართა ვესტიბიულში, დერეფნებში, კლასებში. შემდეგ ყველანი ჩავიდნენ ეზოში, ბებერ ჭადართან, რომელსაც ისევე, როგორც სკოლას, 120 წელი შეუსრულდა. ბევრი მოგონება აკავშირებს ამ სკოლის მოსწავლეებს ჭადართან და ამიტომ სიმბოლური იყო ზეიმის დაწყება სწორედ მის ძირში. შემდეგ კი ზეიმი გაგრძელდა საქტო დარბაზში, რომელმაც რასაკვირველია, ვერ დაიტია ყველა სტუმარი.

როგორ წარმოიშვა?

ქართველი მეცნიერის დასკვნები

პური ჩვენი არსობისა — რბილი ხორბალი წარმოიშვა ნახევრად ველური მცენარეებისაგან, რომელიც ახლა მარტო საქართველოში იზრდება. ეს არის მახა-მცენარე, რომელსაც ათასწლეულების სიღრმიდან მოუღწევია დღემდე. მას აქვს უძველესი ხორბლის ყველა თვისება, მაგალითად, ტეხვადი თავთავი და მარცვლის ჩამოცვენა. მახას პოლობენ არქეოლოგიური გათხრების დროს, რაც მოწმობს, რომ ქვის საუკუნის ადამიანს კარგად სცოდნია მარცვლის ღირსებები: ნათესებს ვერ აშინებს სოკოვანი დაავადება, ხოლო ველური ხორბლის ფქვილისაგან გამომცხვარი პური დიდხანს არ ხმება. ტყუილად როდი იპყრობს რელიქტური მარცვალი გენეტიკოსთა და სელექციონერთა ყურადღებას. მისი წარმოშობის გამოცანის ამოხსნა საშუალებას მოგვცემს შევიხედოთ არა მარტო ბუნების „სამზარეულოში“ და ამოვხსნათ მისი კანონზომიერებანი, არამედ კიდევაც გადმოვიღოთ ბუნებრივ პირობებში ახალ სახეობათა მცენარეების შექმნის მეთოდები.

კავკასია, თვალსაჩინო საბჭოთა ბუნებისმეტყველის აკადემიკოს ნ. ი. ვავილოვის სიტყვით, მისი თავისებური ხელსაყრელი კლიმატური პირობებით ქვაბია, რომელშიც ყალიბდებოდა ფლორა. და, ალბათ, შემთხვევითი არ არის, რომ სწორედ ქართველ ბოტანიკოსებს აქვთ დიდი დამსახურება მცენარეთა და, კერძოდ, ხორბლების წარმოშობის გამოკვლევაში. კოლხეთის მიწა ერთ-ერთი ძირითადი კერა აღმოჩნდა, სადაც წარმოიშვა თავთავიანები და შემდეგ გავრცელდა ევროპასა და აღმოსავლეთში.

თანამედროვე კულტურული ხორბლები წარმოიშვა ველური მარცვლოვანებისა და ჭვავის შეჯვარებით. ასეთი დასკვნა გააკეთა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ბოტანიკის ინსტიტუტის თანამშრომელმა, ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატმა გ. კანდელაკმა. მიჰყვა რა ბუნების ნაკვალევს, მან აღადგინა რელიქტური ხორბლის განვითარების გზა და კიდევაც გამოიყვანა... ფხვიერთავთავიანი მახა. ახლად მიღებული ჰიბრიდის წინამორბედები აღმოჩნდნენ ძველკოლხური პოლბა და ხორბლის ნათესების მარადიული თანამგზავრი — მრავალწლოვანი ჭვავი. ექსპერიმენტული ჰიბრიდი ცოტათი განსხვავდება ბუნებრივი რელიქტისაგან — იგი მარცვალს იძლევა ისევე, როგორც მრავალი ათასეული წლის წინათ წარმოშობილი მისი შორეული ნათესავი.

თავისი ჰიპოთეზა გ. კანდელაკმა გამოკვლევა ემბრიოლოგიური, პალინოლოგიური და ბიოქიმიური ანალიზებით. მან აღმოაჩინა, რომ ჭვავისათვის დამახასიათებელ ნივთიერებას — ტრიფტოზანს შეიცავს ბევრი უძველესი ხორბალი. მაგრამ ყველაზე მეტი რაოდენობით ეს ნახშირწყალი აქვს მახას. მკვლევარს მიაჩნია, რომ ეს ფაქტი აგრეთვე საფუძვლიანად ადასტურებს ნახევრადველური მარცვლოვანის წარმოშობის წყაროებს. მახა ხორბლისა და ჭვავის პირველი ჰიბრიდია, რომელმაც ჩვენამდე მოაღწია საუკუნეების სიღრმიდან.

კანდელაკის ნაშრომი ადასტურებს შორეული შეჯვარების დროს ჰიბრიდიზაციის ახალ კანონზომიერებებს, რომლებიც საშუალებას იძლევიან მივიღოთ ცხოველსურნაირი კულტურები მცენარეებისაგან, რომლებიც შეუთავსებლად ითვლებოდა. მაგალითად, გამოირკვა, რომ მსხმოიარე იყო მხოლოდ ის ჰიბრიდები, რომელთა უჯრედებში თავისთავად ორკეცდებოდა ქრომოსობის (ორგანიზმის ძირითად თვისებათა მატარებლების) რიცხვი. ამ პროცესმა ერთ-ერთი მთავარი როლი შეასრულა არსებული რბილი და მაგარი ხორბლების წარმოშობაში.

„ენა“ ელექტრომთარგმნელისათვის

წაიკითხე, საინტერესოა

მსოფლიოს ბევრი ქვეყნის მეცნიერები მუშაობენ იმისათვის, რომ განახორციელონ სხვადასხვა ტექსტის ავტომატური თარგმნა ერთი ენიდან მეორეზე. ისინი ცდილობენ მეცნიერულ-ტექნიკური და მხატვრული ლიტერატურის თარგმნის რთული პროცესი გადაქცევინ უბრალო ოპერაციებად: ასწავლონ ელექტრო-გამოსათვლელ მანქანას დამოუკიდებლად თარგმნოს ტექსტი ერთი ენიდან მეორეზე. ეს ქმნის კიბერნეტიკულ მოწყობილობათა გამოყენების ახალ პერსპექტივებს.

კვლევა ავტომატური მანქანური თარგმნის დარგში ხორციელდება გამთოვლით ცენტრსა და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ელექტრონიკის, ავტომატიკისა და ტელემექანიკის ინსტიტუტში. მაგალითად, ინსტიტუტის თანამშრომლებმა ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატებმა ლ. თამარაშვილმა და ლ. მარგველანმა შეიმუშავეს ალგორითმი — თავისებური გრამატიკა ელექტრონულ-გამოსათვლელი მანქანისათვის. მისი დახმარებით მეცნიერებმა შეძლეს განეხორციელებინათ ტექნიკური ტექსტის თარგმანი რუსულიდან ქართულ ენაზე.

ამას წინათ ქართველმა მკვლევარებმა გადაწყვიტეს კიდევ ერთი ამოცანა „ელექტრონული მთარგმნელის“ მუშაობის ავტომატიზაციის დარგში.

ელექტრონიკის, ავტომატიკისა და ტელემექანიკის ინსტიტუტის მანქანური თარგმნის ლაბორატორიის ხელმძღვანელმა გ. ჩიკოიძემ შეიმუშავა ეგრეთწოდებული შუალედური ენა ელექტრონულ-გამოსათვლელი მანქანისათვის. იგი განკუთვნილია მანქანური თარგმანის ალგორიტმის პროგრამირებისათვის და წარმოადგენს თავისებურ დამაკავშირებელ რგოლს იმ „ენასა“, რომელზეც იწერენ თარგმანის ალგორიტმს, და მანქანური კომანდების განსაკუთრებულ სისტემას შორის.

ჩვენმა კორესპონდენტმა სთხოვა ინსტიტუტის დირექტორს, ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატს **ა. ელიაშვილს** კომენტარი გაეკეთებინა მიღწეული წარმატებებისათვის მანქანური თარგმანის ავტომატიზაციის დარგში.

— მანქანური თარგმანის პროცესი რთული ამოცანაა, — თქვა მეცნიერმა. — ამ დარგში მუშაობა ჯერჯერობით არსად არ გასცდენია ლაბორატორიული ექსპერიმენტის ფარგლებს. ეს აიხსნება ბევრი მიზეზით და უწინარეს ყოვლისა იმით, რომ ტექნიკურმა საშუალებებმა (გამოსათვლელი მანქანები) და მანქანური თარგმანის სპეციალური კვლევის შედეგებმა ჯერ ვერ მიაღწია ისეთ დონეს, რომელიც უზრუნველყოფს პრაქტიკული თარგმანის შესაძლებლობას. მაგრამ წარმატებები, რომლებსაც მიაღწევს საბჭოთა და, კერძოდ, ქართველმა მკვლევარებმა მანქანურ თარგმანში, ახალ პერსპექტივებს სახავენ ამ დიდმნიშვნელოვან დარგში.

ტექსტის „დაშიფრა“, ალგორიტმის შედგენა და მისი პროგრამირება ჯერჯერობით ბევრ დროს მოითხოვს. გ. ჩიკოიძის მიერ შემუშავებული შუალედური ენა დაეხმარება ტექსტის ალგორიტმის პროგრამირებასთან დაკავშირებული მუშაობის გამარტივებასა და ავტომატიზაციაში.

გ. ჩიკოიძემ ჯერჯერობით მოახერხა მხოლოდ შუალედური ენიდან მანქანის ენაზე (მანქანური კომანდების თანაჰიდევრობა) ალგორიტმის თარგმნის ავტომატიზაცია. წელს დასახულია ამოცანა განხორციელდეს ალგორიტმის თარგმნის ავტომატიზაცია ჩვეულებრივი ჩანაწერებიდან შუალედურ ენაზე.

ქართული ნუმიზმატიკის უცნობი ფურცლები

სტეფენ ბირკიანის კოლმეურნე შიო ფარვულიძე ბოსტანში რომ მუშაობდა, რა თქმა უნდა ვერ იფიქრებდა, რომ სულ უახლოეს ხანში გახდებოდა ნუმიზმატიკოსთა გულმოდგინე ყურადღების საგანი. ყველაფრის „მიზეზი“ გახდა ჩვეულებრივი თიხის ჭურჭელი, რომელსაც იგი ამ დღეს წაეწყდა. როცა გასინჯა, აღმოაჩინა ორი ათეული ძველებური მონეტა და ეს ამბავი აცნობა საქართველოს ს. ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმს.

მუზეუმის მუნიზმატიკის განყოფილების გამგე პროფესორი დ. კაპანაძე უკვე მოგვიანებით ამბობდა, რომ ამ განძიდან ორი მონეტი მისთვის აბსოლუტური მოულოდნელობაა. აღმოჩნდა, რომ ეს მონეტები გამოუშვია ზაგემის ზარაფხანას. დღემდე კახეთის სამეფოს ეს ზარაფხანა ცნობილი არ ყოფილა სპეციალისტებისათვის.

გასული წელი ქართველი მუნიზმატოსებისათვის აღინიშნა მთელი რიგი ნაპოვნებით. მუზეუმის თანამშრომლებმა არა მარტო შეავსეს მონეტების კოლექცია იშვიათი ეგზემპლარებით, არამედ კიდევაც გამოავლინეს ქართული ნუმიზმატიკის ზოგიერთი უცნობი ფურცელი.

დიდი იშვიათობაა ქართული მონეტების ოთხი განძი. ყველაზე ადრეული მათგან არის გიორგი მეორის ვერცხლის მონეტების განძი (1072-1089 წლები). მაშინ ეგრეთწოდებული „ვერცხლის კრიზისის“ დროს, რომელმაც მთელი წინა აღმოსავლეთი მოიცვა, მონეტებს სჭრიდნენ ქაღალდის სისქისას და მიწაში მრავალი წლის ყოფნისაგან ისინი, ბუნებრივია, იშლებოდნენ.

მათგან განსხვავებით, თამარ მეფის მიერ მოჭრილი მონეტები იმდენად გავრცელებულია, რომ ცნობილი ეგზემპლარების რიცხვი ათასებს უდრის. მიუხედავად ამისა, ამ მონეტების კიდევ ერთი განძი უჩვეულო ინტერესს წარმოადგენს.

— ჩვენი მუზეუმის ფონდები, — თქვა პროფესორმა დ. კაპანაძემ, შეიცავს ისეთი იშვიათი მონეტებით, როგორიცაა სინოპის დრაქმები (IV საუკუნე ჩვენს წელთაღრიცხვამდე), რაც კიდევ ერთ-ერთი დადასტურებაა ბერძენთა კოლონიების სავაჭრო ურთიერთობისა ძველ საქართველოსთან. ნაკლები მნიშვნელობა როდი აქვს ალექსანდრე მაკედონელის ოქროს მონეტებს, რომლებიც საქართველოს ტერიტორიაზე აღმოაჩინეს.

თუ ალექსანდრე მაკედონელის სახელი საკმაოდ ფართოდ არის ცნობილი, რომის ისეთ იმპერატორებს, როგორიც არიან პერტინაქსი, ნიგერი, დიადუმიანი, ვაბალატი და სხვ. იცნობს მხოლოდ მეცნიერთა ვიწრო წრე. ეს არც არის გასაკვირი. ყოველი მათგანი მოკლე დროს მეფობდა, ზოგჯერ რამდენიმე კვირას. მაგრამ ამ მოკლე ვადაშიც ისინი ახერხებდნენ თავისი სახელით გამოეშვათ მონეტი. ნუმიზმატიკური კოლექცია ამას წინათ შეიცავდა სწორედ ასეთი მონეტებით.

მონეტების მოჭრის უფლება ზოგჯერ ეძლეოდა ცალკეულ ქალაქებს. მაგალითად, რომის იმპერატორებმა ნება დართეს ქალაქ ტრაპიზონს გამოეშვა თავისი მონეტი. ტრაპიზონის მონეტები დიდხანს არ გასულა ამ ქალაქის ფარგლებს გარეთ. ისინი დიდ იშვიათობად ითვლებოდნენ. მაგრამ აი ამას წინათ აფხაზეთში აღმოაჩინეს განძი, რომელიც 150 ასეთ მონეტს შეიცავდა.

ტურისტული მოგზაურობანი საზღვარგარეთ

საქართველოს მშრომელები ბევრს მოგზაურობენ საზღვარგარეთ ტურისტებად. გასული წელს მარტო პროფკავშირთა ხაზით საზღვარგარეთ იყო ორი ათასამდე ტურისტი საქართველოდან.

საზღვარგარეთ იყვნენ სპეციალიზებული ჯგუფები. ქართველი მშენებლები იყვნენ ფინეთსა და რუმინეთში, ხის დამმუშავებელი და ქაღალდის მრეწველობის მუშაკები — ფინეთში, სპელეოლოგები — პოლონეთში და სხვ. ექიმთა, მასწავლებელთა, ხელოვნებისა და კულტურის მუშაკთა სპეციალიზებული ჯგუფები იყვნენ სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნებში.

სულ უფრო მეტი პოპულარობით სარგებლობს მშრომელებში ტურისტული საგზურები მყურნალობით და დასვენებით. ბულგარეთში მოგზაურობის შემდეგ 37 ტურისტი მყურნალობდა ცნობილ ბალნეოლოგიურ კურორტ ხისარში, ხოლო ჩეხოსლოვაკიაში მოგზაურობის შემდეგ 47 კაცმა გაიარა მკურნალობის კურსი კარლოვი ვარში, ასობით ტურისტმა საქართველოდან დაისვენა რუმინეთისა და ბულგარეთის ახალ საზღვაო კურორტებზე — მამაიაში, ეფორიაში, ოქროს ქვიშაში და ვარნაში.

ჩვენი რესპუბლიკიდან პოლონეთში, გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში, რუმინეთში, ბულგარეთსა და იუგოსლავიაში გარდა ჯგუფებისა იყვნენ ინდივიდუალური ტურისტები. ისინი ამ ქვეყნებში გაეცნენ ისტორიულ და არქიტექტურულ ძეგლებს, მუზეუმებს, გამოფენებს. მაგალითად, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მუშაკები იყვნენ პოლონეთსა და გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში სამუზეუმო საქმის, ფონდებთან მუშაობის მეთოდების, ექსპონატების შენახვისა და აღრიცხვის, მატერიალური კულტურის ძეგლების კონსერვაციისა და რესტავრაციის მეთოდების შესასწავლად.

ტურისტებმა საქართველოდან მოაწყეს კრუიზები ევროპის გარშემო, დუნაიზე, წარმტაცი მოგზაურობა ალჟირ-ტუნის-მაროკოში, ირან-ერაყ-კუვეიტში, პაკისტან-ინდოეთში და სხვაგან.

საშოვლის მხატვარი

უჩა ჯაფარიძის დაბადების 60 წლისთავი

გამოჩენილი ქართველი მხატვრის უჩა ჯაფარიძის შემოქმედებაში შთამაგონებელი ძალით, გულწრფელი სიყვარულით, გასაოცარი ოსტატობით ასახულია მშობლიური ქვეყნის თვალწარმტაცი ბუნების თავისებური სილამაზე, ქართველი ადამიანის სულიერი სიმდიდრე, შეუდრეკელი ნებისყოფა. თავდადებული შრომა, რომლის მიზანია განახორციელოს ჩვენი ეპოქის დიადი ამოცანები.

თავისი შინაგანი არსით, ბუნებით, ასახვის მხატვრული ხერხებით, იღეური შინაარსით უჩა ჯაფარიძის შემოქმედება მთლიანად ემყარება და ამავე დროს აგრძელებს ქართული სახვითი ხელოვნების რეალისტურ ტრადიციებს. ქართული ხელოვნება ყოველთვის საუკუნეების მანძილზე გასაოცარი შინაგანი ძალით და მეტყველი მხატვრული ფორმით ნათლად ემსახურებოდა მშობლიური ხალხის ინტერესებს, პროგრესულ იდეებს.

გამოჩენილი ქართველი მხატვარი უჩა ჯაფარიძე დაიბადა ზემო რაჭის სოფელ ღარში 1906 წელს. მხატვრის მამა მალაქია ჯაფარიძე იყო ცნობილი პედაგოგი, განათლებული ადამიანი, რომელმაც თავისი უანგარო მოღვაწეობით მოიპოვა მშრომელი ხალხის გულწრფელი პატივისცემა და სიყვარული. ბავშვს თავიდანვე აღმოაჩნდა ხატვის განსაკუთრებული ნიჭი, რასაც

ფრანგი მეცნიერის აზრით

ასე ჭერენ საზღვარგარეთ

უკვე რამდენიმე წელია საფრანგეთის საზოგადოებრიობა დიდ ინტერესს იჩენს დიდი ქართველი მგოსნის შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ ახალი ფრანგული თარგმანისადმი, რომელიც ოსტატურად შეასრულა მწერალმა და მთარგმნელმა სერგი წულაძემ. ფრანგი ხალხის ინტერესი „ვეფხისტყაოსნისადმი“ უფრო გაიზარდა პოეტის დაბადების 800 წლისთავის იუბილეს შემდეგ. პოემით დაინტერესდნენ ფრანგი მკვლევარები პროფესორები რენე ლაფონი, ჟორუ დიუმეზილი, აკად. მარსელ ბრიონი, პოეტი რენე ლაკოტი, მწერალი პიერ გამარა და სხვანი.

პროფესორმა რენე ლაფონმა „ქართველოლოგთა ყურნალში“ ჯერ კიდევ იუბილემდე, 1966 წელს მოათავსა ვრცელი წერილი: „თხრობის ხელოვნება „ვეფხისტყაოსანში“, რომელშიც მკვლევარი ვრცლად გადმოგვცემს თავის შეხედულებას თხრობის ხელოვნებაზე „ვეფხისტყაოსანში“ და მის მსოფლიო მნიშვნელობაზე.

„ქართველოლოგთა ყურნალს“, — წერს რენე ლაფონი, — არ დავიწყებია, რომ 1966 წლის 25 სექტემბერს მთელმა საქართველომ უნდა იდღესასწაულოს შოთა რუსთაველის დაბადების 800 წლისთავის იუბილე. ან, უკეთ რომ ვთქვათ, იდღესასწაულოს შექმნა „ვეფხისტყაოსნისა“, რომელიც ყველაზე ბრწყინვალე ნაწარმოებია მთელ ქართულ ლიტერატურაში. ჩვენი ჟურნალის მეცხრამეტე და მეოცე ტომებში დაიბეჭდა ორი მნიშვნელოვანი სტატია შოთა რუსთაველის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე. პირველი წერილის ავტორია ნ. სალია: „ვეფხისტყაოსანი“ და მისი ლიტერატურულ - მეცნიერული მნიშვნელობა“, რომელშიც ავტორი ეყრდნობა საუკეთესო ქართველი სპეციალისტების ნაშრომებს. წერილს თან ერთვის პოემის სურათი, რომელიც აღმოჩენილ იქნა იერუსალიმში 1960 წელს. მეორე წერილის ავტორია აკად. ალ. ბარამიძე — „შოთა რუსთაველი და მისი თანამედროვენი“, რომელიც დაწერილია პროფ. გ. დეტერსის წერილის გამო.

რაც შემეხება მე, რედაქციის სამეცნიერო საბჭოს სახელით მინდა გამოვხატო ჩემი აღფრთოვანება დიდი ქართველი პოეტის შემოქმედებით, მიუხედავად იმისა, რომ არა ვარ სპეციალისტი ქართული ლიტერატურისა. ძალიან კარგად ვიცი, რომ ისეთი ნაწარმოები, როგორიც „ვეფხისტყაოსანია“, წარმოადგენს მთელ სამყაროს. ამ სამყაროში ადამიანი რომ შეიჭრას, საჭიროა დიდი ცოდნა, განვითარება, მით უფრო, როცა ქართველი არა ხარ. ყოველივე ამის მიღწევა შეიძლება მხოლოდ დაძაბული მეცნიერული ძიების შედეგად. მე, როგორც ენათმეცნიერმა, დიდი აღფრთოვანებით წავიკითხე პოემა, რადგან მიყვარს ქართული ენა და ლიტერატურა. სიამოვნების გულისათვის კიდეც ვთარგმნე ფრანგულად რამდენიმე ადგილი პოემიდან, რომელიც ციტირებულია წინამდებარე წერილში. მინდა გამოვთქვა ჩემი აზრი თხრობის ხელოვნებაზე „ვეფხისტყაოსანში“ და იმ გრძნობებზე, რომლებიც ვლინდება ერთ-ერთ ეპიზოდში. ეს გახლავთ სასიყვარულო ამბავი ავთანდილისა ფატმანთან...“

პროფესორი დიდ ადგილს უთმობს „ვეფხისტყაოსნის“ მთავარი გმირების ფსიქოლოგიური მდგომარეობის აღწერას.

რენე ლაფონი, როგორც ეს მისი წერილის სათაურიდან ჩანს, განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს „ვეფხისტყაოსანში“ ფატმანის ეპიზოდის თხრობის ხელოვნებას. პროფესორი ხაზს უსვამს თხრობის დინამიკას, იგი ამბობს, რომ საერთოდ პოემაში თხრობა არსად არ ნელდება, „თხრობა არის ზომიერი და ძლიერი“, — დაასკვნის პროფესორი.

„ყოველმა ნამდვილმა პოეტმა, — წერს იგი, — შესაძლებელია ისეთნაირად შეხედოს ნივთს, რომ იგი „შეიცვალოს“. პოეტის ხედვით ახალ ასპექტში ვლინდება მოვლენა. მზე, მაგალითად, ბევრი პოეტის მიერ გააზრებულია სხვადასხვა ასპექტში, მაგრამ ძლიერი პოეტის თვალი მასში ნახავს ისეთ მხარეს, რომელიც ჯერ კიდევ არც ერთ პოეტს არ უნახავს. ეს გახლავთ პოეტის ორიგინალობა და, რა თქმა უნდა, ყოველი ჭეშმარიტი პოეტი ორიგინალურია. როგორც პოემიდან ჩანს, რუსთაველი დიდი პოეტია და მასაც აქვს თავისი საკუთარი პოეტიკა, მსოფლმხედველობა“.

რენე ლაფონის აზრით, ყოველ დიდ პოეტს აქვს საკუთარი პოეტიკა: „შაირობა პირველადვე სიბრძნისაა ერთი დარგი“ — შოთა რუსთაველის ეს სიტყვები, — წერს პროფესორი, — იმას ამტკიცებს, რომ პოეზია სამყაროს თავისებური ათვისება არის.

შემდეგ პროფესორს მოჰყავს მეორე მაგალითიც: „საღმრთო საღმრთოდ გასაგონი, მსმენელთათვის დიდი მარგი“. ამ სიტყვებში უკანასკნელი ამოწურვაა პოეზიის არსისო. პოეტური სიტყვა რუსთაველის აზრით არ არის უბრალო თქმათ.

პროფესორი ეხება ნესტანის წერილს, რომელიც მისწერა მან თავის მოჯანურს, და ამბობს, რომ ეს ადგილი მთელი პოემის დამამშვენებელია. აქ უბრალო, მაგრამ გულჩამწვდომ ლირიკულ ატირებასთან გვაქვს საქმეო („უშენოდ ჩემი სიცოცხლე, ვამე, რა დიდი ძნელია“).

რენე ლაფონი ჯერ კიდევ 1965 წელს „ქართველოლოგთა ყურნალის“ სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე გამოეხმაურა დიდი ქართველი პოეტის შოთა რუსთაველის დაბადების 800 წლისთავის მომავალ იუბილეს:

„1966 წლის 25 სექტემბერს, — წერდა პროფესორი, — საქართველო იზეიმებს დიდი ქართველი პოეტის შოთა რუსთაველის დაბადების 800 წლისთავის იუბილეს. შოთა რუსთაველის დაბადების იუბილეს აღნიშვნას ეკნება არა მარტო ოფიციალური, არამედ ეროვნული ხასიათიც. ყველა ქართველი, როგორც თავის ჭვეყანაში, ისე საზღვარგარეთაც შეიკრიბება და გულწრფელი სიყვარულით პატივსა სცემს „ვეფხისტყაოსნის“ ავტორს, ქართული ლიტერატურის ყველაზე ბრწყინვალე თხზულებას, ეპოპეას, რომანს რაინდობაზე, ლირიკულ, მორალურ და ფილოსოფიურ პოემას“.

„ვეფხისტყაოსანი“ ინტერესებთ არა მარტო ქართველებს, არა მარტო ქართული ენისა და ლიტერატურის სპეციალისტებს, არამედ ყველას, ვინც სწავლობს და უყვარს ევროპის საუკუნეების საუკუნეების, ახლა და შუა აღმოსავლეთის ლიტერატურა“.

შოთა რუსთაველის იუბილესთან დაკავშირებით საქართველოს ბევრი უცხოელი სტუმარი ეწვია. მათ შორის დავასახელებთ რამდენიმე ფრანგ მოღვაწეს, რომლებიც ესწრებოდნენ დღესასწაულს. ესენი იყვნენ რენე ლაფონი, პიერ გამარა, კლოდ გალიმარი, მადლენ ბრონი და სხვანი. ფრანგი სტუმრები სამშობლოში დაბრუნების შემდეგ შოთა რუსთაველზე წერენ წერილებს, რომლებშიც უზიარებენ ფრანგ მკითხველებს თავიანთ შთაბეჭდილებებს შოთა რუსთაველზე.

ამჟამად საფრანგეთში იწერება სერიოზული ნაშრომები შოთა რუსთაველზე, ფართო მკითხველები ეცნობიან სერგი წულაძის მიერ შესრულებულ „ვეფხისტყაოსნის“ ფრანგულ თარგმანს, საფრანგეთის პრესაში იწერება რეცენზიები. მათ შორის შესანიშნავია აკადემიკოს მარსელ ბრიონის რეცენზია, რომელშიც მეცნიერი მაღალ შეფასებას აძლევს რუსთაველის ქმნილებას.

ამ დღეებში თბილისში მივიღეთ 1967 წლის „ქართველოლოგთა ყურნალის“ უკანასკნელი ნომერი, რომელშიც მოთავსებულია პროფესორ რენე ლაფონის წერილი: „კავკასიური ენების შესწავლის მდგომარეობა საქართველოში“, რომელშიც ავტორი თავის შთაბეჭდილებებს უზიარებს თანამემამულეებს, მოუთხრობს იმის შესახებ, თუ როგორი ჩქარი ტემპით ვითარდება საქართველოში სახალხო მეურნეობის ყველა დარგი, ქართველი ხალხის კულტურა, მეცნიერება, ხელოვნება, ლიტერატურა.

რენე ლაფონის სახით ქართველ ხალხს საფრანგეთში ჰყავს დიდი მეგობარი, რომელიც ეწევა დაუღალავ მეცნიერულ მუშაობას ჩვენი ლიტერატურისა და ხელოვნების პოპულარიზაციისათ ვის საფრანგეთში. ვუსურვებთ წარმატებებს შემდგომ მუშაობაში ქართველი და ფრანგი ხალხების საკეთილდღეოდ. ასეთი მეცნიერული თანამშრომლობა კიდევ უფრო განამტკიცებს მეგობრობას ამ ორ ერს შორის.

სერგო თურნავა.

ხელი შეუწყო იმ გარემოებამ, რომ მომავალი მხატვრის ორივე უფროსი ძმა გატაცებული იყო ხატვით.

უ. ჯაფარიძე სწავლობდა ჯერ ქ. ონში, შემდეგ კი თბილისში. 1924 წელს მან დაამთავრა თბილისის ჰუმანიტარული ტექნიკუმი. განსაკუთრებით აღსანიშნავია ის გარემოება, რომ იგი დიდი გატაცებითა და წარმატებით სწავლობდა გამოჩენილი ქართველი მხატვრის მოსე თოიძის მიერ დაარსებულ სახალხო სამხატვრო სტუდიაში. მოსე თოიძე იყო უჩა ჯაფარიძის პირველი მასწავლებელი, რომელმაც ჩაუნერგა მას უბრალო ადამიანისადმი განსაკუთრებული სიყვარული.

შემდეგ იგი სწავლობდა თბილისის სამხატვრო აკადემიაში ფერწერის ფაკულტეტზე, რომელიც წარმატებით დაამთავრა 1931 წელს. არ შეიძლება მადლობის გრძნობით არ მოვიხსენიოთ მისი აღმზრდელი პროფესორები, განსაკუთრებით გ. გაბაშვილი, ი. ნიკოლაძე. მხატვრის შემოქმედების განმტკიცებაში გარკვეული მნიშვნელობა ჰქონდა იმ გარემოებას, რომ იგი რამდენიმე წლის მანძილზე ცხოვრობდა და მუშაობდა (1933-1936) ლენინგრადსა და მოსკოვში, სადაც ეცნობოდა რუსეთისა და დასავლეთ ევროპის ხელოვნების, განსაკუთრებით კი ფერწერის მსოფლიო მნიშვნელობის ნიმუშებს.

ხელოვნების სარბიელზე უჩა ჯაფარიძე გამოვიდა 1926 წელს. ჟურნალ „თეატრსა და ცხოვრებაში“ დაიბეჭდა მის მიერ შესრულებული დავით კლდიაშვილის პორტრეტი, რომელმაც მიიქცია ჩვენი საზოგადოების ფართო წრეების ყურადღება. ხოლო 1930 წლიდან დღემდე თითქმის არც ერთი სამხატვრო გამოფენა არ ყოფილა საქართველოში მოწყობილი, სადაც მას მონაწილეობა არ მიეღო. უჩა ჯაფარიძის მიერ შექმნილი დიდი ზომის კომპოზიციები, სადაც ასახულია ჩვენი ხალხის გმირული წარსული, თავდადებული ბრძოლა ცარიზმის წინააღმდეგ, ყანრული შინაარსის ეპიზოდები მშრომელი ხალხის ცხოვრებიდან, ქართველ მოღვაწეთა პორტრეტები, ქართული კლასიკური მწერლობის ილუსტრაციები და მრავალრიცხოვანი ჩანახატები ხშირად ყოფილა გამოფენილი მოსკოვში, მოძმე რესპუბლიკის დედაქალაქებში და საზღვარგარეთაც. ხაზგასმით უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენი სახელოვანი მხატვრის არაერთი თვალსაჩინო მხატვრული ნაწარმოები ამჟამად ამშვენებს საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის მუდმივ ექსპოზიციას.

დიდი ოსტატობით, ჰეშმარიტი პოეტური განწყობილებით და სიყვარულით შესრულებულია მხატვრის მიერ დედის პორტრეტი მშობლიური კუთხის მიდამოების ფონზე. მხატვარს გასაოცარი სიზუსტით ასახული აქვს ზემო რაჭის ბუნების სილამაზე, რომელშიც შერწყმულია სიდიადე მთაგორიანი პეიზაჟისა და ინტიმური ხასიათი თვითეული დეტალისა. მოხუცი დედა გატაცებულია მის წინ გაშლილი მშობლიური კუთხის სილამაზით. ადამიანის შრომამ, ახალმა ყოფამ ძირიანად შეცვალა ძველი სოფლის სახე. გაიშალა და გაფართოვდა ყანები, სოფელს შეემატა ახალი სახლები, შეიცვალა ცხოვრების მაჯისცემა. გზის პირას ჩამომჯდარი დედის ფიგურა მკვეთრად გამოიყოფა სურათის ფონზე. დედის ჩაფიქრებული სახე, მშვიდი პოზა და მღელვარე ფიქრები და დიდი განცდები გადმოცემულია გასაოცარი ოსტატობით.

შთამბეჭდავია აგრეთვე დედის სახე მხატვრის მეორე სურათში, რომელსაც „დედის ფიქრები“ ეწოდება. დედა ჩაფიქრებული დგას წყაროსთან ნათელმოსილი ბუნების ფონზე...

სულ სხვა მხატვრულ ასპექტშია მოცემული სურათი „საგულისხმო საუბარი“, რომელშიც მზიანი პეიზაჟის ფონზე გატაცებით საუბრობს ორი ხანშიშესული გლეხი. მათი პოზები, ხელების მოძრაობა, განსაკუთრებით კი სახის გამომეტყველება წარუხოცელ შთაბეჭდილებას ახდენს ადამიანზე.

სავსებით იცვლება მხატვრის წერის მანერა, კოლორიტი სურათისა, რომელიც ასახავს მრავალფიგურიან რთული შინაარსის კომპოზიციებს. ასეთია დიდი ტილო „საკოლმეურნეო ბაზრობა“ (1960-1961), სადაც ზემო რაჭის ამწვანებული მთიანი პეიზაჟის ფონზე გაშლილია მრავალფიგურიანი კომპოზიცია, რომლის ყოველი დეტალი ასახულია დიდი ოსტატობით.

მხატვრის მიერ შექმნილი ყოველი ნაწარმოები თავისი შინაარსით და მხატვრული ფორმით შესრულებულია უშუალო შთაბეჭდილების ზეგავლენით, ნაკარნახევია ხალხისადმი დიდი სიყვარულით. მხატვრის ყოველ ნაწარმოებში ნათლად ჩანს ადამიანისადმი დიდი სიყვარული. იგი ერთნაირი გატაცებით გადმოგვცემს უბრალო ადამიანის განცდებს, მის მისწრაფებებს და ხატავს ერის მოწინავე შვილების — გამოჩენილი მწერლების, პოეტების, ხელოვნების და მეცნიერების მოღვაწეთა პორტრეტებს.

უჩა ჯაფარიძე გვევლინება როგორც პორტრეტული ხელოვნების შეუდარებელი ოსტატი, რომელიც ცდილობს ადამიანში გამოავლინოს მისი შინაგანი არსი, დამახასიათებელი ნიშნები, სულიერი მისწრაფებანი. დაუვიწყარია მხატვრის მიერ შექმნილი პორტრეტები დიდი ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ზაქარია ფალიაშვილის (1940 წ.), ალექსანდრე ყაზბეგის (1948 წ.), იაკობ ნიკოლაძის (1940 წ.), გალაკტიონ ტაბიძის (1947 წ.), უშანგი ჩხეიძის, (1943 წ.) და სხვ.

უჩა ჯაფარიძე სავსებით მართებულად ითვლება ქართული გრაფიკული ხელოვნების გამოჩენილ ოსტატად, იგი ერთნაირად ეუფლება გრაფიკული ხელოვნების ყველა დარგს, განსაკუთრებით აღსანიშნავია მხატვრის მიერ შესრულებული ჩანახატები ნატურიდან, ავტოლითოგრაფიები, ოფორტები და სხვ. მახვილი თვალი, დაკვირვების დიდი უნარი, სინამდვილის ზუსტი, ხშირად კი დოკუმენტური ასახვა, მტკიცე ხელი ნათლად ჩანს მხატვრის ყოველ ნაწარმოებში.

უჩა ჯაფარიძე არა მარტო ცნობილი მხატვარია, იგი წლების მანძილზე ეწევა ნაყოფიერ პედაგოგიურ მოღვაწეობას თბილისის სამხატვრო აკადემიაში. მის მიერ აღზრდილია არა ერთი თაობა გამოჩენილ ქართველ მხატვრებისა.

1946 წლიდან უჩა ჯაფარიძე საქართველოს სახალხო მხატვარია. როგორც საბჭოთა ფერწერის მოწინავე ოსტატი არჩეულ იქნა საბჭოთა კავშირის სამხატვრო აკადემიის ჯერ წევრ-კორესპონდენტად (1954 წ.), ხოლო შემდეგ აკადემიის ნამდვილ წევრად (1958 წ.).

უჩა ჯაფარიძე თვალსაჩინო საზოგადო მოღვაწეა. წლების მანძილზე იგი მესვეურობდა მხატვართა კავშირის მუშაობას, როგორც მისი გამგეობის თავმჯდომარე, ხოლო 1962 წელს იგი არჩეულ იქნა საქართველოს მხატვართა მეხუთე ყრილობის მიერ გამგეობის საპატიო თავმჯდომარედ.

დღეს მადლიერი ქართველი ხალხი განსაკუთრებული პატივისცემით და დიდი სიყვარულით აღნიშნავს ქართული სახვითი ხელოვნების უანგარო მოღვაწის უჩა ჯაფარიძის იუბილეს, უსურვებს მას ხანგრძლივ ცხოვრებას და ახალ წარმატებას მშობლიური ხელოვნების საკეთილდღეოდ.

შალვა ამირანაშვილი.

* * *





სურათებზე: ზემოთ — „დედის ფიქრები“, ქვემოთ — „საგულისხმო საუბარი“.

საქართველოს სსრ სახელმწიფო რუსთაველის სახელობის ბიბლიოთეკა



ღვთის ჯვრისწაჭა

გიორგი და ელენე პაპაშვილები

ნაწყვეტები წიგნიდან

სამშობლო მიწას მოშორებულ მრავალ ქართველს შეუტანია თავისი მოკრძალებული წვლილი მსოფლიო კულტურის საგანძურში. ერთ-ერთი მათგანია მწერალი და მოქანდაკე გიორგი პაპაშვილი, რომელიც თითქმის ორმოცდაათი წელია ცხოვრობს ამერიკის შეერთებულ შტატებში. იგი დუშეთის მახლობელ პატარა სოფელში კობიანთკარში დაიბადა ღარიბი გლეხის ოჯახში, ცოტა რომ წამოიზარდა, მამამ კავკავში წაიყვანა და ჯერ მეუნაგირეს მიაბარა ხელობის შესასწავლად, ხოლო შემდეგ კი მეიარაღეს, მაგრამ მას ოსტატად კურთხევა აღარ დასცალდა — დაიწყო პირველი მსოფლიო ომი და გიორგი მეფის ჯარში გაიწვიეს.

ომმა იგი ჯერ სპარსეთში გადაისროლა, შემდეგ თურქეთში, საიდანაც ოციან წლებში ამერიკაში წავიდა სამუშაოს საძებნელად. ამერიკაში უფულო და ენის უცოდინარ გიორგის ძალიან გაუჭირდა ცხოვრება. მან მრავალი ხელობა გამოიცვალა, კიდით კიდემდე გადასერა ამერიკა, მაგრამ ფეხი ვერსად მოიკიდა — გლეხის შვილს მიწა უხმობდა. ბოლოს, გიორგიმ ცოლი შეირთო, პატარა ფერმა შეიძინა და გუთანს ჩაუდგა კვალში. თავისი მრავალფეროვანი, საინტერესო ცხოვრება გიორგი პაპაშვილმა თავისი მეუღლის ჰელენ უეიტის თანაავტორობით აღწერა წიგნში „ქვეყანა, სადაც ყველაფერი შეიძლება მოხდეს“. ამ ნაწარმოებმა თავიდანვე მიიპყრო მკითხველების ყურადღება თავისი გულწრფელობით, უშუალობითა და მსუბუქი, ლაღი იუმორით, რომლის ფესვები ქართულ ხალხურ იუმორშია საძიებელი. წიგნი მრავალჯერ გამოიცა ამერიკის შეერთებულ შტატებში და ითარგმნა სხვა ენებზეც, (დაახლოებით ერთი წლის წინათ გ. პაპაშვილის წიგნის ქართული თარგმანი საქართველოშიც დაისტამბა). ამ წიგნმა გიორგის მისცა სახსარი აესრულებინა ჭაბუკობის ოცნება — ხელი მოეკიდნა მოქანდაკეობისათვის. იგი თავისი სახლის მახლობლად კარგახნის წინათ შეგუებულ გრანიტის კარიერს მიადგა და თავისი განუყრელი მეგობრების — ცხოველების გამოქანდაკებას მიჰყო ხელი. ამ ქანდაკებებს ამერიკელ ხელოვანთა დიდი მოწონება ხვდა.

რამდენიმე წლის შემდეგ, უკვე მეორე მსოფლიო ომის დროს გიორგი და ელენე პაპაშვილებმა გამოაქვეყნეს „ქართული ზღაპრები“, რომელიც სტალინგრადისა და სევასტოპოლის დამცველებს მიუძღვნეს წარწერით: „ხვალინდელი ფოლკლორის გმირებს“. მოგვიანებით გამოქვეყნდა გ. და ე. პაპაშვილების „ძაღლები და ადამიანები“ და „ნოეს წყალობით“. ამ ნაწარმოებებში ავტორები საოცარი სითბოთი და სიყვარულით გვესაუბრებიან თავიანთ მეგობარ ცხოველებზე.

ვბეჭდავთ ნაწყვეტებს წიგნიდან „ნოეს წყალობით“, რომელშიც გიორგი სამშობლოში გატარებულ ბავშვობისა და სიჭაბუკის წლებს იგონებს.

თუ ცხოველები არ გიყვართ, თუ არასოდეს არ გაგიღიათ მათთვის გულის კარი, ეს წიგნი გვერდზე გადადეთ და სხვა წაიკითხეთ. ჩემი წიგნი თქვენ არ გამოგადგებათ. მე ხომ ჩემს მეგობრებზე მინდა გესაუბროთ, ჩემს მეგობარ ცხოველებზე — ძაღლებზე და თვოზე, ცხენებზე, ბატებზე, კამეჩებზე, სპილოზე და სხვადასხვა წვრილფეხა ცხოველებზე, რომლებსაც ხან საცვეცხობოდი, ხან სად. ყველაზე მეტი ძაღლებზე უნდა გიამბოთ.

მე რომ დავიბადე, ოჯახში დედაჩემისა და მამაჩემის გარდა მეცხვარის ძაღლიც დამხვდა, სახელად ბუცა. როცა თავს უბედურება დაგვატყდა: დედა გარდამეცვალა (მე სახეც კი აღარ მახსოვს მისი), ბუცამ დედის მაგივრობა გამიწია. ძილის დროს გვერდით მეწვა და მდარაჯობდა. რომ გავიღვიძებდი და ტირილს მოვრთავდი, მინდორში გავარდებოდა და მამაჩემს მოიყვანდა ხოლმე. ფეხი რომ ავიდგი, ტყეში და ტბაზე არ მაშვებდა. მიცავდა ცხენის წიხლისაგან, ფუტკრის ნესტრისაგან და საერთოდ ყველა იმ საფრთხისაგან, რომელიც უპატრონოდ დარჩენილ ბავშვს ემუქრება.

თავდაპირველად ბუცა გოლიათად მეჩვენებოდა. იგი მაგიდაზე მაღალი და საწოლზე განიერი იყო. კუდის ქნევა რომ დაიწყებდა, ქარიშხალი ატყდებოდა ხოლმე. შემდეგ თანდათან დაიკლო. მალე წელამდე მივწვდი, ცოტა ხანს ტოლები ვიყავით — მზარსა და თვალს ვუსწორებდით ერთმანეთს, შემდეგ კი ნელნელა გავასწარი.

სიმაღლეში კი გადავამატე, მაგრამ ბუცამ უფროსობა არ დათმო. იგი მკაცრი, ძაღლი გახლდათ და არც ღვიძლი შვილებისაგან და არც ჩემგან არ ითმენდა ბრიყვულ საქციელს. ლეკვი ლეკვია, რა ბედენაა, ძაღლისა იქნება თუ ადამიანისაო, ფიქრობდა იგი.

ბუცამ პასუხისგებლობა კი იკისრა ჩემზე, მაგრამ მეგობრად არა მთვლიდა. იგი ჩვენი ოჯახის ძველი და პატივცემული წევრი იყო და ალბათ ამიტომ არ მიყადრებდა თავს. მე ხომ ახალი ვიყავი და ჯერ არავინ იცოდა, რა დავდგებოდი.

სამაგიეროდ მისი ლეკვი ბასარა მეგობრობდა ჩემთან. იგი ჩემი პირველი და საუკეთესო მეგობარი იყო და მისი მთელი ცხოვრების — 5 წლის განმავლობაში დღეს ერთად ვატარებდით, ლუკმას შუაზე ვიყოფდით და ღამეც ერთად გვეძინა. როცა კარგ ხასიათზე ვიყავი, ისიც მხიარულობდა, დარბოდა, ჰყეფდა და ანცობდა. როცა მოვიწყენდი, ისიც... თუმცა სანამ ბასარა მყავდა, არასოდეს არ მომიწყენია. ეს გრძნობა მხოლოდ მისი დაკარგვის შემდეგ გამოვცადე.

ერთ ღრუბლიან ღამეს ჩვენ ცხვრებს მგლები დაედევნენ. ბასარამ, რომელიც ჩემს საწოლთან თვლემდა, მგლების ყმუილი გაიგონა, გარეთ გავარდა და მარტოდმარტო შეებრძოლა მთელ ხროვას. მან მგლები გარეკა, ცხვრები შინ მოიყვანა, ყეფით გაგვიხმო, ცხვრები ჩაბარეთო, და მხოლოდ ამის შემდეგ მოიცალა სასიკეთოდ. გვერდით მომიწვა საწყალი და გათავდა.

ბასარა რუხი ძაღლი იყო, მაგრამ შავიც ერია. ფართო მკერდი ჰქონდა. თვალები ოქროთი დაწინწკლულ ძვირფას ქვებს მიუგავდა. ხანდახან ახლაც

წერილი ნიუ-იორკიდან

გაზეთ „სამშობლოს ხმის“ რედაქციას.

სოფელი ონტოფო (აბაშის რაიონი) ჩემი მშობელი კუთხეა, სადაც დავყმაწვილდი მე, ივლიანე იოანეს-ძე ნადარეიშვილი.

ისე კი, თუ საჭიროებამ მოითხოვა დამატებითი ცნობები ჩემზე, არსებობს ჩემი ოჯახი ქ. ფოთში, კაკასიის ქ. 41 — სულიკო (იგივე ქსენია) ისაკის ასული ნადარეიშვილი (მეუღლე) ბავშვებითურთ, რომლებსაც მოწყვეტილი ვარ სრული 26 წელი!

ხოლო რაც შეეხება სკკუთარ ლექსს „საღამო ნიუ-იორკის ჭუჩებში“, იგი განკუთვნე გაზეთ „სამშობლოს ხმის“ ფურცლების ერთი კუთხისათვის თუ რედაქციამ ცნო მისი ოდნავი მხატვრული ლიტერატურული ღირსება. ლექსი დაწერილია 1963 წელს.

პატივისცემით ი. ნადარეიშვილი.

საღამო ნიუ-იორკის ჭუჩებში

საღამო ბნელი სხვა ბნელთა შორის ƒ
ან რაფას ვხედავ უკეთესს მწირი? —
ჭუჩა დაყრილი, ჭუჭყი და შმორი,
თვალთაგან ცრემლი გადმომდის ხშირი.
ნაცნობი სითბო არ მოდის მზიდან,
ცა ჩამტვრეული, დაჭრილი მთვარე,
გზები გარყვნილი ყოველი მხრიდან
რაც დღემდე სიმწრით გამოვიარე...
მივაბიჯებდი ნაღვლიან ფიქრით,
თავი დაკიდულ გოდრის ტოლია,
თვალი კი ჩემად დაკარგულს ეძებს,
რაც უწინ მჭონდა, რაცა მყოლია.
მაგრამ ვინ გაცლის იფიქრო შენთვის? —
გზას დოღის ხალხი გადაგიგორდავს,
ჩაგივლის ვიღაც, შეხედვა ვეფხის
და უწმაწურად თავისთვის ბოდავს.
გარბის მოხუცი, პატარა, დიდი
ვით დაფრთხობილი მგლებისგან კვიცი,
არ გამჩნევს თუ შენ მიდიხარ იქით,
მაგრამ სად გარბის არც თვითონ იცის.
რამ დაიყვანა ეს ხალხი დაღმა,
ან რად არიან ძაღლივით ხელი?! —
გავიფიქრე და გავედი გარმა,
სხვა მოგონებამ დამრია ხელი.

ივლიანე ნადარეიშვილი.

ნიუ-იორკი, ნოემბერი. 1963 წ.

ქართული მელოდიები ჩეხოსლოვაკიაში

ქართული საბჭოთა მუსიკა სულ უფრო პოპულარული ხდება საზღვარგარეთის მსმენელთა შორის. ამ ბოლო დროს იგი გაისმის მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში. ცნობილი ქართველი კომპოზიტორების ნაწარმოებნი შეტანილია მხატვრული კოლექტივებისა და ცალკეული შემსრულებლების რეპერტუარში, მონაწილეობენ საერთაშორისო კონკურსებში.

ქართული მუსიკის კონცერტები ამას წინათ გაიმართა სოფიაში, პლოვდივში, პრაღაში. მსმენელები გაეცნენ თვალსაჩინო კომპოზიტორთა ნაწარმოებებს, ნორჩ შემსრულებელს ლექსო თორაძეს.

აპრილში ქართული მუსიკა კვლავ აჟღერდება ჩეხოსლოვაკიაში. ბრატისლავაში გაიმართება კამერული მუსიკის კონცერტი. ამასთან დაკავშირებით მოძმე ქვეყანაში გაემგზავრებიან ქართველი კომპოზიტორები სსრ კავშირის სახალხო არტისტი ა. მაჭავარიანი, რესპუბლიკის სახალხო არტისტები შ. მშველიძე, რ. ლაღიძე, რ. გაბიჩვაძე, ს. ცინცაძე, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწეები ა. შავერზაშვილი, ნ. გუდიაშვილი, ნ. მამისაშვილი, კომპოზიტორი ტ. ბაქრაძე.

ეს კონცერტი ერთ-ერთია გაცვლითი კონცერტების დიდი სერიიდან. შემოდგომაზე ქართველი მსმენელები მიიღებენ ჩეხოსლოვაკიელ კომპოზიტორებს. თბილისში გაიმართება ჩეხოსლოვაკიური კამერული მუსიკის კონცერტები.

ვგრძნობ ხელზე მისი ბანჯგვლიანი, მრგვალი თავის შეხებას, ზოგჯერ თითქოს მორბის კიდეც ჩემკენ ოცნებით წარმოდგენილ მწვანე მდელოზე.

მისი სიკვდილის შემდეგ ძაღლი აღარ ვიყოლიე — არ მინდოდა სხვას დაეკავებინა ბასრას ადგილი. მაგრამ სახლში ვინმე ხომ უნდა ყოფილიყო. სიცარიელე კედლებს ეხეთქებოდა და სიჩუმე იქაურობას იკლებდა.

თუმცა კატებიც გვყავდა და მამალი ბატიც (მთელ საქართველოში იმაზე სახიზღარ ბატს ვერ იპოვნიდით. სამ მეფეზე მეტი იცოცხლა და იმდენივე მტერი შეიძინა, რამდენიც იმ სამმა მეფემ ერთად), ოჯახში უღელი კამეჩი და ჩემი საყუთარი ოქროსფერი კვიცი — შალაც იყო და ჩვენ მეგობრებადაც კი ვითვლებოდით, მაგრამ იმათ თავიანთი საქმე ჰქონდათ მინდორში და საჯინიბოში, მე კი მინდოდა ისეთი ვინმე მყოლოდა, ვინც ჩემთან, შინ დარჩებოდა, რომ გვესაირნა, ბუერთი გვეთამაშა, გვეჭიდავა და სირბილში შევჯიბრებოდით ერთმანეთს. მაგრამ სხვა ძაღლზე გული არ მიმდიოდა — თითქოს ბასრამ გული მომტაცა და დამალა, როგორც გამოხრულ ძვლებს მალავდა ხოლმე.

ათი წლისა ვიყავი. აღდგომამდე რამდენიმე კვირაღა იყო დარჩენილი, როცა მთიდან ერთმა მწყემსმა ჩამოიარა და ძია გიორგის დანაბარები გადმომცა.

ბიძაჩემი მთის გადაღმა ცხოვრობდა. იგი თითქმის ბრძენი იყო და, რომ მოენდომებინა, ძალიან დიდი კაცი გახდებოდა. მასზე სწრაფი და კარგი კალატოზი არც ჩვენს და არც მეზობელ მხარეში არ მოიძებნებოდა, მაგრამ ძია გიორგი მთიდან მხოლოდ მაშინ ჩამოდიოდა, როცა თამბაჩოს და მარილის ფული შემოაკლდებოდა, და შემდეგ კვლავ უკან ბრუნდებოდა.

არ იფიქროთ, რომ ხალხზე იყო გამწყრალი. თუმცა ხანდახან იტყოდა — ხალხი ბინძური და მავნეაო, მაგრამ საკმაოდ პკვიანი კაცი იყო და საბოლოოდ არ იძულებდა ადამიანებს. ღვთის შექმნილები არიან და თუ რამეს აშავებენ, მარტო იმათი ბრალი არ არისო, იტყოდა ხოლმე.

გიორგი ძიამ არჩია მარტოდმარტო ეცხოვრა მთაში და თავის ბაღ-ბოსტნის ნაყოფი ყველა გამვლელისათვის გაენაწილებინა — ცხოველი იქნებოდა იგი თუ ადამიანი. სტუმარი ისე უყვარდა, რომ ჯიშს აღარ აქცევდა ყურადღებას.

მის ძახილზე ჩიტები ხეებს ტოვებდნენ, მელა სოროდან გამოძერებოდა, ბებერი გველთევზა მორევის ფსკერიდან ამოყვინთავდა და ძია გიორგიც თავისი ხელით აშმევდა ხოლმე ყველს. ფურირემს თავისი ნუკრი მიჰყავდა მასთან — ესიამოვნებაო. ძია გიორგის გარეული ტახებიც კი სცემდნენ პატივს: ისე ჩაუვლიდნენ გვერდით, ვითომ ვერც დაინახესო. ისინი ხომ ყველა ცხოველზე უფრო ამაყნი და საშიშარნი არიან. აი ასეთი კაცი იყო ბიძაჩემი.

ადრეული გაზაფხულის ერთ დილას აღმართი ავათავე და ბიძაჩემის სახლის გზას დავადექი. ტყე მოწყენილი და მდუმარე იყო, რადგან მარტოდმარტო მივდიოდი. აქ ხომ ხშირად გვესეირნია მე და ბასარას. ოჰ, რა ბედნიერები ვიყავით მაშინ!

ძია გიორგი მწყერს ესაუბრებოდა, მაგრამ დამინახა თუ არა, საუბარი შეწყვიტა, შინ შემიყვანა და თაფლი, ზღმარტლი, რძე და მჭადი მომიტანა. ჯამა რომ დავამთავრე და ჩვენების ამბავი მოვუყევი, ძია გიორგი ბუხართან მივიდა, კალათიდან რაღაც ამოიყვანა და მითხრა, აი ეს შენი საღდგომო საჩუქარიო.

იმწამსვე მივხვდი, რომ ოცნება შემისრულდა. ამაზე უფრო არაფერი გამახარებდა ამ ქვეყნად.

— ჩემია, მართლა ჩემია, სულ ჩემთან იქნება?

— შენია. შეინახე, აქამე ხოლმე, დაბანე და სუფთა წუალი ასვი.

— აუცილებლად, აუცილებლად.

— არ უნდა დაჩაგრო. ამა შენი თავი მაგის ადგილას წარმოიდგინე. ხომ გეწყინებოდა. პატრონს რომ დაეჩაგრე?

— არ დავჩაგრავ, მოიტა, ხელში ავიყვან.

— გახსოვდეს, ვინც ცხოველს ცუდად ექცევა, ის ცხოვრებაში ვერ გაიხარებს.

— ჰო, ჰო, კარგად მოვექცევი, ოღონდ მომეცით.

ძია გიორგიმ ხელებში ჩამისვა. მისი გულის ცემა ვიგრძენი. მრგვალსა და შავ დრუნჩსა და პაწაწა ყურებზე მოვეფერე, შემდეგ კი ბანჯგვლიან ტანზე გადავუსვი ხელი. მან მოთეთრო-მოლურჯო თვალები გაახილა, დაამთქნარა, სახამთროს გულივით წითელი ენა გამოგვიყო, დააცემინა და კვლავ დაიძინა.

— დედა სადა ჰყავს?

ბიძაჩემმა ნაღვლიანად გადააქნია თავი.

— ჩემთან რომ იყოს მისი შვილი, ხომ არ შეწუხდება?

— აღარ შეწუხდება. აღარ არის. ერთი დღე სდიეს, მოკლეს და იქვე დატოვეს. ვითომ თავი შეიქციეს. ეს პატარა მის გვერდით ვიპოვნე, მტირალი და შეცივებული. ცოტა ხანს რძე უნდა ასვა.

— ვასმევ, ვაშმევ, დავბან ხოლმე. კარგად მოვუვლი, სანამ ცოცხალი ვიქნები, არ მოვიშორებ.

— არა, კი ნუ გეწყინება და, ვერ შეძლებ, — მითხრა ძია გიორგიმ, — ამას აქედანვე უნდა შეურიგდე. ჩვენდენს ვერც ერთი ცხოველი ვერა ცოცხლობს.

— რატომ?

— რა ვიცი. იქნებ იმიტომ, რომ მივხვდეთ, რა მოკლეა ეს წუთისოფელი. რას დაარქმევ?

— კოლას.

ასე და ამგვარად, მეორე დღეს მე და კოლა შინისაკენ გავეშურეთ. ახლა უკვე მთელ ტყეს ეღვიძა — გუგულები დასძახოდნენ, ოფოფები ჰორაობდნენ, ჭურდღლები კი ერთი ბუჩქიდან მეორისაკენ გადარბოდნენ და ახალ ამბავს ავრცელებდნენ. მაღალ კლდეებზე ჯიხვები გადმომდგარიყვნენ და გვიყურებდნენ. მე კი ამაყად მივაბიჯებდი და გვერდით ჩემი პატარა დათვის ბელი ჰომდევდა.

მაგრამ, სამწუხაროდ, ჩემიანები არცთუ ისე კარგად შეხვდნენ კოლას. კატებმა ზედ არ მიხედეს, ვითომ არავინ მოსულიყო, ჩემმა კვიცმა — შალამ თვალები დააბრიალა, ჩიჩვირი ჩამოუშვა და ფეხი დააბაკუნა, კამეჩებმა — ლომამ და მერცხალმა დიდი ყურები დაიფართხუნეს და კვლავ თივას მიუბრუნდნენ.

გადასცდა თუ არა კოლა სახლის ზღურბლს, მამალმა ბატმა ისე მწარედ უჩხმიტა მოკლე კუდზე, რომ საწყალი ბელი ჩემი საწოლის ქვეშ შეძვრა და ცხარე ცრემლებით მორწყო ეს მიუსაფარი, გულქვა და ბატებით გადავსებული საწუთრო. კარგა ბლომად ფიქიანი თაფლი დამჭირდა, რომ კვლავ ეზოში გამომეტყუებინა.

მეზობლები დაშინდნენ და მამას ურჩიეს, სანამ ყველას შეგვჭამდეს, თავიდან მოიშორეო.

თარგმანი

ანდუყაფარ ჭეიშვილისა.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)



ასე გაცოცხლდა და გაიზარდა

იქ, სადაც წინათ...

ივრის ზეგანზე მდებარეობს მოვლილი მიწა. იგი ყველაფერს ადამიანს უნდა უმადლოდეს: ადამიანმა მორწყა და დაამუშავა, ახლა კი მოჰყავს პური, ბოსტნეული, ხილი, ყურძენი. ეს სწორედ ის სამგორის ველია, რომელზეც ხალხი ძველად ამბობდა: ჩვენი მიწა დედა კი არა, დედინაცვალიაო.

ამ ველის გარდაქმნის ისტორია მდიდარია ადამიანის შრომითი დიდების ბრწყინვალე ფურცლებით. ეს არის სარწყავი სისტემის მშენებლობა, თბილისის ზღვის შექმნა, ათობით საბჭოთა მეურნეობის დაბადება. ახლა აქაური მიწა გვაოცებს თავისი სიმდიდრით. ერთმანეთს ენაცვლებიან მინდვრების, ბაღების, ბოსტნების კვადრატები. ცოცხალ კედლად დგანან მათ გარშემო ვერცხლისფერი ალვის ხეები, აკაციები, ნაძვები. არხში მოედინება მაცოცხლებელი წყალი. ირგვლივ ახალი სოფლებია.

ჩვენ სართიჭალის საბჭოთა მეურნეობის ტერიტორიაზე ვართ... ფართო, ასფალტით დაფარული გზა, მარჯვნივ და მარცხნივ ლამაზი, ორ-სამოთახიანი, აივნებიანი და ბალებიანი სახლები, საბჭოთა მეურნეობაში 540 ახალი სახლია. ისინი ააშენეს მცირემიწიანი მთის რაიონებიდან ჩამოსახლებულთათვის. სახლის ღირებულების ნახევარი სახელმწიფომ გადაიხადა, ხოლო მეორე ნახევარი გადმოსახლებულებმა დაფარეს 10 წლის განმავლობაში. სამსართულიანი სკოლა, 200-ნომრიანი ავტომატური სატელეფონო სადგური, წყალსადენი, ელექტროშუქი, ყველა სახლსა და წარმოებაში...

— ყველაფერს ვერ ჩამოვთვლი, — ამბობს საბჭოთა მეურნეობის დირექტორი, რესპუბლიკის დამსახურებული აგრონომი არჩილ დემეტრაძე.

აი უკვე თხუთმეტი წელია ხელმძღვანელობს იგი სართიჭალის მეურნეობას. — ყველას ვიცნობ, ძუძუმწოვარა ბავშვებსაც კი, — ხუმრობს არჩილი.

სართიჭალაში ხუთი ათასამდე კაცი ცხოვრობს.

— კმაყოფილი არიან, თუ არა ჩამოსახლებულები ახალი ადგილითა და ცხოვრებით?

— თვითონ შეეკითხეთ. აი ჩვენი ტრაქტორისტი მიხეილ გიბიშვილი და მისი მეუღლე აზა. ისინი მთიულეთიდან ჩამოსახლდნენ.

— თქმა არ უნდა. აქ სჯობია, ვიდრე მიუვალ მთებში. განა იქ გვექნებოდა ასეთი სახლი, ასეთი შემოსავალი! — ღიმილით ამბობს აზა.

ბევრი სიახლეა სოფლად. მაგრამ მთავარია კიდევ ერთი სამშენებლო მოედანი; აქ აგებენ ადმინისტრაციულ შენობას, ხოლო გარშემო ქალაქური ტიპის სახლებს. გაშენდება კულტურისა და დასვენების პარკი. აი გადის ახალი ქუჩა, სახლების ნაწილი ჩასახლებულია, ნაწილი მოელის ახალ მობინადრეებს. ახალი ქუჩის მცხოვრებლები ამწვანებენ, უვლიან ქუჩას, რათა იგი საუკეთესო გახადონ სოფელში.

თბილისთან სიახლოვემ განსაზღვრა საბჭოთა მეურნეობის მიმართულება და მისი ნათესების სტრუქტურა. რძე, ხორცი, კარტოფილი, ბოსტნეული — აი რას იძლევა ძირითადად სართიჭალის საბჭოთა მეურნეობა. ყოველდღე თბილისში იგზავნება 6.500 კილოგრამამდე რძე.

მდიდარია სართიჭალის საბჭოთა მეურნეობა, მაგრამ მისი უყველაზე დიდი სიმდიდრეა ადამიანები, რომლებმაც წარსულში უსიცოცხლო ადგილები გადააქციეს აყვავებულ ოაზისად.

თუმცა ამბობენ, რომ ციფრები მშრალია, რათა სრულად ვერ გამოხატავენ ადამიანის საქმიანობის მასშტაბებს, არ შეიძლება არ მოვიყვანოთ რამდენიმე ციფრი. 58 ტრაქტორი, 13 კომბაინი, 33 ავტომანქანა, ასობით ნიადაგის დასამუშავებელი და სათესი იარაღი — ასეთია საბჭოთა მეურნეობის მანქანა-ტრაქტორთა პარკი.

გარდა ამისა რამდენი მექანიზმია ფერმებში. საბჭოთა მეურნეობაში როდი ფიქრობენ, თითქოს შრომის მეცნიერული ორგანიზაცია მარტო სამრეწველო საწარმოთა საქმე იყოს. ამ მიმართულებით აქ ბევრი რამ კეთდება. მსუბუქდება მუშების შრომა, ყოველ ღონეს ხმარობენ მდიდარი ტექნიკის სრულად გამოყენებისათვის, სარწყავი მოწყობილობების ინტენსიფიკაციისათვის...

იქ, სადაც წინათ მიწა დედინაცვალი იყო, ახლა სიკეთეს თესავს და სიხარულს ეძლის ადამიანი.

ი. დავითაძე.

გმირებს არ ივიწყებენ!

ომის გზებზე

დიდი სამამულო ომის წლებში ქალაქი ქერჩი, რომელიც ორი ზღვის — შავი და აზოვის ზღვების შესაყართან გადაიშალა, გახდა გააფთრებული, სისხლისმღვრელი ბრძოლების ასპარეზი.

ომის მატიანეში გმირი ქალაქების სტალინგრადის, ოდესის, სევასტოპოლისა და ბევრი სხვა ქალაქის უკვდავ გმირობასთან ერთად ოქროს ასოებით ჩაწერილია იმ საბჭოთა მეომრების სახელოვანი საბრძოლო საქმეები, რომლებიც ფაშისტ დამპყრობლებს ებრძოდნენ ქერჩის ნახევარკუნძულზე. ამასთან წარსული ომის ერთ-ერთი ყველაზე სახელოვანი და ყველაზე ტრაგიკული ფურცელი სამართლიანად ეკუთვნის ქერჩის განაპირას მდებარე აჯიმუშკაის ქვასამტეხლოთა მიწისქვეშა გარნიზონს.

ქერჩის ნახევარკუნძულზე გაჩაღებული გააფთრებული ბრძოლების უტყვი მოწმეები არიან ძმათა საფლავები საბჭოთა მეომრებისა, რომლებმაც სიცოცხლე შესწირეს სამშობლოს. აქ წარმოებული სასტიკი ბრძოლების მასშტაბზე შეიძლება ვიმსჯელოთ იმით, რომ მარტო ქალაქ ქერჩში დაიღუპა 8 ათასზე მეტი საბჭოთა მეომარი, მათ შორის ქართველი ხალხის ბევრი შვილი. ამ ბრძოლებში სხვადასხვა დროს მონაწილეობდნენ 224-ე ქართული მსროლელთა დივიზიის, 398-ე მსროლელთა დივიზიის, 143-ე სასწავლო ბრიგადის, 242-ე მსროლელთა დივიზიის (ეს დივიზიები შეიქმნა საქართველოში), 414-ე ქართული წითელდროშოვანი ანაპის დივიზიის მეომრები, რომლებიც ათავისუფლებდნენ ყირიმის ქალაქებსა და სოფლებს.

ქალაქი ხელიდან ხელში გადადიოდა. და როცა იქ თარეშობდნენ ოკუპანტები, ასობით საბჭოთა პატრიოტი, რომელთაც არ სურდათ მოხვედრილიყვნენ ფაშისტურ ტყვეობაში, მიდიოდა იატაკქვეშეთში, ქვის გალერეებში, რომლებიც რამდენიმე კილომეტრზე იყო გაჭიმული ქერჩის ქვეშ, და იქიდან გაბედულ და მამაცურ დარტყმებს აყენებდა მტერს. ეს იყო მძიმე და უთანასწორო ბრძოლა. იგი თითქმის ნახევარ წელს გაგრძელდა, 1942 წლის მაისიდან ოქტომბრამდე.

ქვასამტეხლოებში დამალული იყვნენ დაჭრილი მეომრები იმ ჰოსპიტლებიდან, რომლებმაც ვერ მოასწრეს ევაკუაცია. მიწისქვეშა დაკლაკნილ კორიდორებში დაბომბვას ემალებოდნენ ქერჩის მცხოვრებლები — მოხუცები, ქალები, ბავშვები.

სამწუხაროდ, ქართველ მეომრებზე მიწისქვეშა გარნიზონიდან ცოტა ცნობა დარჩა. ამავე დროს მნახველთა ნაამბობით აქ იბრძოდნენ პოლიტხელები ალექსანდრე გვინჩიძე, იაკინთე ლომაძე და სხვა ქართველი მეომრები.

ახალი მონაცემები გამოვლინდა მას შემდეგ, რაც გათხარეს ჰიტლერელთა მიერ აფეთქებული ერთ-ერთი კატაკომბი. იქ აღმოჩნდა მიწისქვეშა სიმაგრის ხუთი დამცველის ნეშტი. აქვე იყო დაცრეცილი პირადი მოწმობები, იარაღი, პირადი შემადგენლობის სიები და სხვა ჩანაწერები.

ქერჩში ყოფნის დროს გულდასმით გავეცანი ამ მასალებს, რომლებიც ადგილობრივ მუზეუმში ინახება, ვიყავი ქვასამტეხლოებში, რომელთა კედლები აჭრელებულია მრავალი პატრიოტული წარწერით.

მკვლევართა ინიციატივის მეოხებით მოხერხდა ეგრეთწოდებული მცირე ქვასამტეხლოებში მყოფი სამასი მებრძოლისა და მეთაურის სახელისა და გვარის დადგენა. მათ შორის ცოტა როდია ქართველი, სომეხი, აზერბაიჯანელი, ოსი. აი ზოგიერთი მათგანის სახელები, რომლებიც დღემდე არ ყოფილა ხსენებული.

ვლადიმერ ერეგნის-ძე ხომასურიძე, დაბადებული 1910 წელს. საბჭოთა არმიაში გაწვეული იყო თბილისიდან.

მებრძოლი იაგორ ალექსის-ძე მინიკაშვილი სოფელ ცაიშიდან.

ცხინვალის მცხოვრები ნიკაზ არზუმანიანი და სხვები.

მღელვარებით ვფურცლავ ნაპოვნ რვეულებს, ვკითხულობთ ლაკონურ ჩანაწერებს საბრძოლო ზარალის შესახებ, მოსპობილი ჰიტლერელების, ნადავლის შესახებ...

ასე ამეტყველდნენ მრავალი წლის შემდეგ აჯიმუშკაის ქვასამტეხლოები. ზოგი რამ ცნობილი გახდა, მაგრამ ჯერ კიდევ ყველა საიდუმლოება როდია ამოხსნილი. გამოურკვეველია მრავალი ქართველ და სხვა ეროვნების მეომართა სახელები, რომლებიც მიწისქვეშა გარნიზონის შემადგენლობაში იბრძოდნენ.

არ ვიცით, რა ბედი ეწიათ იმათ, ვისი სახელებიც ჩაწერილია ნაპოვნ რვეულებში. აქ ისინი აღნიშნული არიან უგზო-უკვლოდ დაკარგულებად. მაგრამ ქერჩში არ იციან, სად არიან დასაფლავებული ეს გმირები. იქნებ ორ ძმათა საფლავში, რომლებიც ვნახეთ ქვასამტეხლოებში და სადაც განისვენებს სამი ათასი დაღუპული პარტიზანის ნეშტი? ან იქნებ გიგანტურ ძმათა საფლავში, სტადიონთან რომ მდებარეობს ვოიკოვის ქარხნის დაბაში, სადაც დასაფლავებულია ორი ათას ხუთასზე მეტი მეომარი? ან იქნებ სხვა ძმათა საფლავებში, უხვად რომ გაფანტულან ქერჩის მიწაზე?

ჰიტლერელები ქვასამტეხლოებში მყოფ მებრძოლებს ახრჩობდნენ გაზით, ცოცხლად ასამარებდნენ კატაკომბების დამცველებს. ადამიანებს ულეტავდა შიმშილი და წყურვილი. მაგრამ ამან ვერ გატეხა მიწისქვეშა გარნიზონის სიმტკიცე. მთელ მსოფლიოს აუწყებდა რადიოთი „ჩვენ ქერჩის დამცველები, გაზით ვიხრჩობით, ვიხოცებით, მაგრამ ტყვედ არ ვნებდებით".

ათი ათასზე მეტი კაცი იყო ქვის კატაკომბებში, ხოლო მათგან სულ რამდენიმე ათეული გადარჩა. აჯიმუშკაის ეპოპეის მნიშვნელობა, რომლის 25 წლისთავი ზეიმით აღინიშნა მიმდინარე წლის მაისში, განისაზღვრება არა მარტო მტკიცე სამხედრო პარტიული კოლექტივის მიერ შედუღაბებული მიწისქვეშა გარნიზონის უმაგალითო მამაცობით, უშიშარობით და ურყეობით.

ქერჩის მცხოვრებლები სათუთად ინახავენ ყველაფერს, რაც დაკავშირებულია მშობლიური ქალაქის დამცველთა ხსოვნასთან. ძმათა საფლავებზე დადგმულია ძეგლები და ობელისკები. ბევრ მათგანზე ამოკვეთილია ქერჩისათვის ბრძოლების გმირთა, მათ შორის ქართველ მეომართა სახელები.

ყურადღებას იპყრობს სამხედრო სასაფლაო სოფელ გლაზოვკაში, ქერჩის მახლობლად. მე ვიყავი ამ სასაფლაოზე, ვესაუბრე მის მცველს, 84 წლის მეთოდე პავლეს-ძე იაროსლავსკის. მან მეზობელთა დახმარებით ჩაიდინა ნამდვილი გმირობა, ფაშისტებთან უთანასწორო ბრძოლაში დაღუპული ჩვენი მეომრების გვამები დაასაფლავა თავის ეზოში, ალუბლის ბაღში. აქ ასამდე საფლავია, თერთმეტ მათგანში განისვენებენ ქართველი მეომრები.

აი მათი სახელები: რიგითი ჯარისკაცი ა. ი. კუტიბაშვილი, ლეიტენანტი ბ. ნ. მამულაშვილი, სერჟანტი ბ. შ. ქვრივიშვილი, რიგითი ჯარისკაცი გ. პ. გოგიბერიძე, რიგითი ჯარისკაცი ნ. ს. ბოლოიაშვილი, ზემდეგი ვ. დ. ცხადაძე, უფროსი სერჟანტი ა. ტ. აბულაძე, სერჟანტი გ. ი. მრევლიშვილი, რიგითი ჯარისკაცები ბ. ი. ჩეჩენაშვილი, დ. გ. გრძელიშვილი, ვ. ი. დიცინაშვილი (გვარები ყველგან მოცემულია ისე, როგორც აღნიშნულია ნაპოვნ მასალებში და ობელისკებზე).

აქ, ამ სასაფლაოზე, უკვე იყვნენ დელეგაციები საქართველოდან. ამას მოწმობს ობელისკზე მიმაგრებული მემორიალური დაფები წარწერით: „414-ე ქართული ანაპის წითელდროშოვანი დივიზიის მებრძოლებს, რომლებიც გმირულად დაიღუპნენ 1941-1945 წლების დიდ სამამულო ომში. საქართველოს მშრომელებისაგან".

„სამარადისო ხსოვნა ქართველ მეომრებს, რომლებიც დაიღუპნენ სამშობლოსათვის ბრძოლების დროს დიდ სამამულო ომში".

ქერჩის საქალაქო სამხედრო კომისარიატში მაჩვენეს სამი სქელი ტომი, რომლებშიც ჩაწერილია ქერჩში დაღუპული და დაკრძალული მეომრების სახელი და გვარი. დავითვალე ქართველი ჯარისკაცების, სერჟანტებისა და ოფიცრების რამდენიმე ასეული გვარი, რომლებიც მამაცთა სიკვდილით დაეცნენ ყირიმის განთავისუფლებისათვის ბრძოლაში.

ამ სიებს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება იმასთან დაკავშირებით, რომ ქართველ მეომართა ყველა ნათესავმა როდი იცის, სად არიან ისინი დაკრძალულნი. მაგალითად, ერთ-ერთ ტომში აღნიშნულია შოთა ქინქლაძე. ცნობილია, რომ ომამდე იგი იყო თბილისის პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე. უფროსი პოლიტხელი ქინქლაძე 224-ე ქართული დივიზიის 185-ე პოლკის შემადგენლობაში მონაწილეობდა ჩვენი ჯარების ცნობილ პირველ დესანტში, რომლებიც გადასხდნენ ქერჩისა და ფეოდოსიის რაიონში.

ქერჩში დაიღუპნენ და იქ არიან დაკრძალული თბილისელები ოთარ ავალიშვილი, იური აროშიძე, ლანჩხუთელი ვასილ გურგენიძე, მახარაძელი ვალერიან დარჩია, სამტრედიელი შოთა ჯანჯღავა, ზესტაფონელი ლევან კვანტრიშვილი, ლაგოდეხელი ილია კვიცინიშვილი, გორელი იასონ კევლიშვილი და მრავალი სხვა.

არ მიეცემა მივიწყებას ძმათა საფლავები და ობელისკები, რომლებიც აღმართულია მითრიდატის მთაზე და ქალაქის ბევრ სასაფლაოზე. აქ ყოველ დღე მოდის ასობით ექსკურსანტი ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან, მათ შორის ჩვენი რესპუბლიკიდანაც. ისინი ყვავილებით ამკობენ ძმათა საფლავებს, წუთიერი დუმილით პატივს სცემენ იმათ ხსოვნას, ვინც აქ განისვენებს და სამუდამოდ შეუერთდა ქერჩის მიწას. ექსკურსანტთა შორის ბევრია ახალგაზრდობა.

მადლიერი სამშობლო არ ივიწყებს თავის სახელოვან შვილებს! მათი გმირობა არ დაჰქნება საუკუნეებში!

გ. მაისურაძე.



დაგეძებენ, მოგელიან

ბიძინა დიომიდეს-ძე გოგსაძეს, დაბადებულს 1924 წელს, ჭიათურის რაიონის სოფელ რცხილათში, ეძებს ძმა — ავენგო გოგსაძე.

ოთარ ივანეს-ძე დათიკაშვილს, დაბადებულს 1923 წელს, ეძებს დედა — სოფიო ალექსანდრეს ასული დათიკაშვილი.

ალექსანდრე ელისეს-ძე ალფაიძეს, დაბადებულს 1911 წელს, ტყიბულის რაიონის სოფ. კურსებში, ეძებს ძმა — მიხეილ ელისეს-ძე ალფაიძე.

ვასილ შიოს-ძე მაჭარაძეს, დაბადებულს 1915 წელს, ქ. მოსკოვში, ეძებს დედა — ელენე გაბრიელის ასული ჩხენკელი.

გურამ ზაქარიას-ძე ოქროპირიძეს, ეძებს მამა — ზაქარია დავითის-ძე ოქროპირიძე.

სურათებზე: ოთარ დათიკაშვილი (მარცხნივ), ბიძინა გოგსაძე.

მოისმინეთ რადიოგადაცემები ქართულ ენაზე ყოველი თვის მეორე და მეოთხე სამშაბათს 7 საათიდან 7 საათსა და 30 წუთამდე შუა ევროპის დროით: საშუალო ტალღაზე 227 მეტრი ან 1322 კილოგერცი, მოკლე ტალღაზე — 30,83 მეტრი ან 9730 კილოგერცი.

გადაცემები ქართულ და აფხაზურ ენებზე შუა და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებისათვის ყოველ კვირა დღეს 17 საათსა და 45 წუთიდან 18 საათსა და 15 წუთამდე, თბილისის დროით მოკლე ტალღაზე — 50.59 მეტრი ან 5930 კილოგერცი.

მოისმინეთ საქართველოს

სარედაქციო კოლეგია

მისამართი:

თბილისი, გ. ათონელის ქ. № 26.